ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში“

01.10.2013- 01.03.2014

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“- ფარგლებში.**

ფინანსური მხარდაჭერა - ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს“** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.*

შესავალი 3
მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია 4
მიღებული საჯარო ინფორმაცია 8
სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები 9
არასტანდარტულ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები 33
საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები 33
მიღებული დოკუმენტაციის ფორმები 35
ცენტრალურ საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 37
ცენტრალურ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შედარება განვლილი პროექტის მაჩვენებლებთან 39
გასაჩივრებული გადაწყვეტილებები 46
დასკვნა 50

შესავალი

2013 წლის ოქტომბერში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა - IDFI განაახლა პროექტი „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი პროექტების სერიის გაგრძელებას. განახლებული პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ძირითადი საქმიანობის კომპონენტს კვლავაც წარმოადგენს საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია მხოლოდ **2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მარტამდე პერიოდში** ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში (პარლამენტის აპარატი, მთავრობის კანცელარია, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრის აპარატები, აჭარის ა/რ მთავრობა და სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, აფხაზეთის ა/რ მთავრობა) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან კანონმდებლობით დადგენილი ვადების მიხედვით მიღებული პასუხების საფუძველზე შემუშავებულია ინფორმაციის ღიაობის რეიტინგები, რომელიც შედარებულია განვლილი პროექტის მაჩვენებლებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განვლილი პროექტის (2012 ივნისი - 2013 ივნისი) განხორციელების პერიოდი დაემთხვა საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის ფაქტს. პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ შეინიშნებოდა დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი იქნას რამდენად შენარჩუნებულია ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე არსებული დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

წინამდებარე კვლევის პერიოდში ინსტიტუტის მიერ ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისთვის სულ გაგზავნილია 493 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. მოთხოვნები მოიცავდა იმგვარ ინფორმაციას რომლის მოლოდინიც, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ან დახურულ პერსონალურ მონაცემებს არ არსებობდა.

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს გაუგზავნა სტანდარტული შინაარსის კითხვები (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები). სხვადასხვა დაწესებულებებს ხსენებული კითხვები სხვადასხვა ვარიაციით გაეგზავნათ. სტანდარტული შინაარსის კითხვების შედგენისას ინსტიტუტის მიერ გათვალისწინებული იქნა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც მთელმა რიგმა დაწესებულებებმა განათავსეს საკუთარ ვებ-გვერდებზე. **ის ინფორმაცია, რომელიც დეტალურად იყო გამოქვეყნებული კონკრეტული დაწესებულების მიერ საკუთარ ვებ-გვერდზე ინსტიტუტის მხრიდან აღარ იქნა დამატებით მოთხოვნილი.**

სტანდარტული მოთხოვნების გარდა, პროექტის განხორციელების პერიოდში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს დამატებით გაეგზავნათ აგრეთვე მოთხოვნები კონკრეტული საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათი საქმიანობის სფეროს შეეხებოდა.

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი მოქალაქეებს ეხმარება მათთვის საინტერესო საჯარო ინფორმაციის მიღებაში. მათი თხოვნით ინსტიტუტის მხრიდან ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს კვლევის პერიოდში გაგზავნილი იქნა სხვადასხვა შინაარსის კითხვებიც.

კვლევის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი სტანდარტული, არასტანდარტული და მოსახლეობის მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკებზე.


IDFI
სტანდარტული მოთხოვნები
პრემია, და ნამატი
• თანამდებობის პირების პრემიები და სახელფასო დანამატები ცალ-ცალკე თვეების მიხედვით
სამივლინებო ხარჯები
• თარიღი, ქვეყანა, მიზანი, ხარჯ ები ჩამლილად (სასტუმრო, მგზავრობა, დღიუ რი)
• როუმინგის ხარჯები
აუდიტები
• აუდიტის აქტები
• შედეგების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნა
• დისციპლინური პასუხისმგებბლობის დაკისრება
• გატარებული ღონისძიებები
სახელმწიფო შესყიდვები
• გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები
• შესყიდვების გადაუდებლად განხორციელების შესახებ შესაბამისი მიწერილობა
ავტოპარკი
• ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩანაცვლება
• ავტომობილებზე ტექნიკური მომსახურების ხარჯები
წარმომადგენ ლობითი ხარჯები
• ღონისძიების ჩატარების ადგილი, დრო, ხარჯი და სტუმართა რაოდენობა
სხვა ინფორმაცია
• ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების დიპლომები
• ხელმძღვანელის ელ. ფოსტიდან მიღებული და გაზავნილი წერილები


IDFI
არასტანდარტული მოთხოვნები
შსს
1.საპატრულო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა გამო დაკისრებულ ჯარიმათა ოდენობა.
2. ქ. თბილისში დაფიქსირებული დანაშაულების სტატისტიკა დანაშაულის სახეების მიხედვით
3. ფარული მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია
იუსტიციის სამინისტრო
1.იუსტიციის სახლების მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, მონაწილე კომპანიები, უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები.
ფინანსთა სამინისტრო
1. სამინისტროს შენობის მეპატრონესთან გაფორმებული ხელშეკრულება
2. შპს "სიტი-პარკის" და შპს"ჰერმესის" მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხები
განათლების და მეცნიერების სამინისტრო
1.საზღვარგარეთ სასწავლებლად დაფინანსებულებთა რაოდენობა და თანხები
2.სხვა ხარჯებისთვის გამოყოფილი 1 000 000 ლარის ხარჯათაღრიცხვა
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
1.მესტიის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხა
2. ინტერნეტ ინფრასტრუქტურა
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
1.სამინისტროს მიერ დაფინანსებული ღონისძიებები
2.სამივლინებო ხარჯების პირველადი დოკუმენტაცია
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1. ინტერნეტ ნფრასტრუქტურასთან დაკავშირებით
2. გუდაურში არსებული ბინის პროკურატურისთვის გადაცემის ხელშეკრულება
პრეზიდენტის ადმინისტრაცია
1. საზღვარგარეთ სასწავლებლად დაფინანსებული თანამდებობის და სხვა პირები
2. კონკრეტულ წარმომადგენლობით ხარჯებზე და მივლინებებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და პირველადი დოკუმენტაცია
3. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები
პარლამენტი
1.მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებისთვის გამოყოფილი თანხები
2.პარლმენტარებისა და აპარატის თანამშრომლების ქუთაისში ბინის ქირაობასთან დაკავშირებული ხარჯები
3. პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრული სამართლებრივი აქტები
ენერგეტიკის სამინისტრო
1. შიდა აუდიტების წლიური გეგმა
2. კონკრეტულ წარმომადგენლობით ხარჯზე პირველადი დოკუმენტაცია
დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი
1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან IDFI- ის მოთხოვნასთან დაკავშირებით გაგზავნილი შეკითხვები

მოქალაქეების მოთხოვნები

შინაგან საქმეთა სამინისტრო

- ავარიების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე კრიმინალური თავდასხმები

ლტოლვილთა სამინისტრო

- ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- მიუსაფართა თავშესაფრების შესახებ ინფორმაცია

თავდაცვის სამინისტრო

- ტურისტული კომპანიებით სარგებლობა და მათთვის გადარიცხული თანხები

მიღებული საჯარო ინფორმაცია

2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 მარტამდე პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტმა 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას მიმართა 493 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელთაგან ინსტიტუტმა სრულყოფილი პასუხი მიიღო 269 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 47 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 12 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 49 მოთხოვნა, ხოლო 116 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.



სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები

ინსტიტუტის მიერ ხსენებულ პერიოდში ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი 493 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან 407 მათგანი წარმოადგენდა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნას. სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებიდან ინსტიტუტმა სრულყოფილი პასუხი მიიღო 205 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 47 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 10 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 40 მოთხოვნა, ხოლო 105 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.



სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებიდან სრულყოფილად გაცემის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის დაწესებულების ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებზე. ცენტრალური საჯარო დაწესებულებების 85%-მა აღნიშნული მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა. ყველაზე პრობლემატური სტანდარტული მოთხოვნა ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისათვის გამოდგა ხელმძღვანელის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. 25 ცენტრალური საჯარო დაწესებულებიდან 32%-მა ხსენებული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა, ხოლო 24%-მა ინსტიტუტს განუმარტა, რომ აღნიშნული საერთოდ არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას და უარი განაცხადა მის გასაჯაროებაზე. დეტალურად თითოეულ სტანდარტულ მოთხოვნაზე ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების პრაქტიკა შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ.

პრემიები და დანამატები

IDFI – ის მოთხოვნები : *1) 2013 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;*

2) 2013 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით

2013 წელს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა 26 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას. აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნა **არ გაეგზავნა მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებს, ვინაიდან მათ აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად განთავსებული აქვთ საკუთარ ვებ-გვერდზე.** 26 ცენტრალური საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილი აღნიშნული შინაარსის 52 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მიღებულია 32 მოთხოვნაზე. არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 12 მოთხოვნაზე, უპასუხოდ დატოვებული იქნა 3 მოთხოვნა, ხოლო 5 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, 2013 წელს თანამდებობის პირებს პრემიები ან სახელფასო დანამატები არ მიუღიათ.



2013 წელს თანამდებობის პირების მიერ მიღებული როგორც პრემიების ასევე სახელფასო დანამატების შესახებ მოთხოვნები **უპასუხოდ დატოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.** აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის მიერ უპასუხოდ დატოვებულია სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია, რაც შეეხება პრემიებს მათი პასუხი სრულყოფილია.

ერთადერთ დაწესებულებას, რომელმაც განმარტა რომ აღნიშნული ინფორმაცია შეიცავს პერსონალური მონაცემების ნიშნებს და მისი გაცემის დასაშვებობასთან დაკავშირებით კითხვა გადაუგზავნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, წარმოადგენს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. **აპარატმა აღნიშნული ინფორმაცია ინსტიტუტს სრულყოფილად მიაწოდა 3 თვის დაგვიანებით**.

განმარტება
მოთხოვნილ ზოგიერთ საჯარო ინფორმაციასთან
დაკავშირებით

1-3. ეს ინფორმაცია, რამდენადაც იგი შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „პერონალური მონაცემის“ ნიშნებს, გაცნობებთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეკითხვა მისი გაცემის დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაეგზავნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ სრულყოფილი პასუხები არ არის მიღებული შემდეგი დაწესებულებებიდან:

უპასუხო	არასრულყოფილი
•**შინაგან საქმეთა სამინისტრო** •**აჭარის ა/რ მთავრობა** (უპასუხოდ დატოვებულია მხოლოდ სახელფასო დანამატები)	•**საგარეო საქმეთა სამინისტრო** •**ფინანსთა სამინისტრო** •**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო** •**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** •**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** •**ენერგეტიკის სამინისტრო**

აღნიშნული ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემის სხვადასხვაგვარი პრაქტიკა შეინიშნება:

2013 წელს თანამდებობის პირებზე დარიცხული ხელფასი

თანამდებობა	იანვარი			თებერვალი			მარტი		
	ხელფასი			ხელფასი			ხელფასი		
	თანამდებობ რივი სარგო	დანამატი	პრემია	თანამდებობ რივი სარგო	დანამატი	პრემია	თანამდებობ რივი სარგო	დანამატი	პრემია
მინისტრი	3540			3540			3540	4335	4735
მინისტრის მოადგილე	10022	652,8	8390	8390	0	8390	8390		8390
საგანგებო დავალებათა ელჩი	8000	0	0	5200	0	0	3000	0	400
დეპარტამენტის დირექტორი	39100	0	16600	38985	0	17040	37950	0	20370

საგარეო საქმეთა სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. არ არის წარმოდგენილი თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია ცალ-ცალკე სახელის და გვარის მითითებით

თანამდებობა	სახელი, გვარი	დანამატი	პრემია
მინისტრი	მირიანე ოდიშარია	43,350.00	6,695.00
მინისტრის პირველი მოადგილე	მარინე მიზანდარი	0.00	34,962.00
მინისტრის მოადგილე	ალექსანდრე მარგიშვილი	0.00	36,678.00
მინისტრის მოადგილე	მანანა ბერიკაშვილი	0.00	35,997.00
მინისტრის მოადგილე	ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი	0.00	27,716.00

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თვეების მიხედვით

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს - 175365 ლარს;

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს;

ფინანსთა სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. მოწოდებულია მხოლოდ 2013 წელს თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების და დანამატების შესახებ ჯამური ინფორმაცია

სამივლინებო ხარჯები

IDFI- ის მოთხოვნა: *1) 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;*

2013 წელს თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა 28 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას. აღნიშნული ინფორმაციის **მოთხოვნა არ გაეგზავნა მხოლოდ აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს, ვინაიდან მათ აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად განთავსებული აქვთ საკუთარ ვებ-გვერდზე.** 28 ცენტრალური საჯარო დაწესებულებიდან აღნიშნულ მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი გასცა 18 მათგანმა. **არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 9 შემთხვევაში, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ.**



თანამდებობის პირების მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად არ იქნა მოწოდებული შემდეგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ:

უპასუხო	არასრულყოფილი
• შინაგან საქმეთა სამინისტრო	•ფინანსთა სამინისტრო •ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო •ენერგეტიკის სამინისტრო •იუსტიციის სამინისტრო •ევროპულ და ევროატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი •დიასპორის საკითებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი •საქართველოს პარლამენტი •აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო •საგარეო საქმეთა სამინისტრო

აღნიშნული დაწესებულებებიდან მოწოდებული ინფორმაციის არასრულყოფილების განმაპირობებელ ფაქტორს უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს მივლინების მიზნების იგნორირება. თუმცა ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ინფორმაცია არ არის ჩაშლილი ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირების მიერ 2013 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებაზე გაწეული ხარჯები ლარებში

თვეები	მივლინების ჯამური ხარჯები	მათ შორის					ქვეყნების ჩამონათვალი
		დღიური ნორმა	დღიური ნორმის თანამატი	სასტუმროს ხარჯი	მგზავრობის ხარჯი	მივლინების სხვა ხარჯი	
იანვარი	2 166,9	1 175,1	562,2	429,5	-	-	საფრანგეთი, ლიტვა, ესტონეთი
თებერვალი	14 984,8	3 327,4	846,5	10 001,4	-	809,5	აშშ, ბელგია

იუსტიციის სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მივლინების ხარჯები ცალ-ცალკე და მივლინების მიზნები.

ინფორმაცია დანამატების, პრემიების და მივლინების (ქვეყნის გარეთ) ხარჯების შესახებ 2013 წელში თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა დანარჩენ თანამშრომლებზე (ჯამურად)

პუნქტი#	დასახელება	თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის 1-ლი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩველი, დეპარტამენტის უფროსები და მოადგილეები, სამსახურის უფროსები და მოადგილე, ბიურის უფროსი, სამმართველოს უფროსები)	სხვა დანარჩენი თანამშრომლები (გარდა თანამდებობის პირებისა)
#7	მივლინება (ქვეყნის გარეთ)	**343764,15**	-

ეკონომიკისა და მგრადი განვითარების სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. მოცემულია მხოლოდ 2013 წლის ხარჯების ჯამური ოდენობა

როუმინგის ხარჯები

IDFI – ის მოთხოვნა: *2013 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები*

2013 წელს თანამდებობის პირების მიერ ე.წ. როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა 28 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას, რომელთაგან აღნიშნული მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა 14 დაწესებულებამ. არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 4 შემთხვევაში, უპასუხოდ იქნა დატოვებული 5 შემთხვევაში, ხოლო როგორც დანარჩენი 5 დაწესებულების მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა მათ დაწესებულებებში 2013 წელს აღნიშნული ტიპის ხარჯებს ადგილი არ ჰქონია.



როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია უპასუხოდ დატოვებულია ან არასრულყოფილად მოწოდებულია შემდეგი დაწესებულებების მიერ:

უპასუხო

- იუსტიციის სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი
- შინაგან საქმეთა სამინისტრო

არასრულყოფილი

- ფინანსთა სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ენერგეტიკის სამინისტრო

არასრულყოფილად მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის ცალ-ცალკე თანამდებობის პირებზე როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

ინფორმაცია 2013 წელს თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებული როუმინგული ზარების შესახებ		
N	თანამდებობა	როუმინგული ზარები 2013 წ.
1	ხელმძღვანელობა	3117,37

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. მოცემულია ყველა თანამდებობის პირის ხარჯები ჯამურად.

სახელმწიფო შესყიდვები

IDFI - ის მოთხოვნები: *1) 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;*

2) 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია წერილობითი შეთანხმება განახორციელოს **ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის** პირთან. ხსენებული მიწერილობის მოთხოვნაზე ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უმრავლეს შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმება არ ხორციელდება მათ ზემდგომ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან. სამინისტროების შემთხვევაში აღნიშნული ტიპის შესყიდვები ხორციელდება მინისტრის ბრძანების საფუძველზე კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვების გადაუდებელი აუცილებლობისას შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განცხადების №8 პუნქტში მითითებული მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) არ ხორციელდება;
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხი



საქართველოს
სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF SPORT AND
YOUTH AFFAIRS OF
GEORGIA

100114695268013

KA100114695268013

საქართველო, თბილისი, 0162 ჩოლოყაშვილის გამზ. N9; ტელ: 223 02 03; 223 50 06; ფაქსი: 229 20 49;
9 Cholokashvili Ave. 0162 Tbilisi, Georgia; www.msy.gov.ge / pr@msy.gov.ge

№07/19

08 / იანვარი / 2013 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის კონკურენციისა
და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარეს
ბატონ ტატო ურუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ რომ, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA120023886) ...ცედურების დასრულებამდე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ...ინისტრო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 ...ქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ...ლა-დასუფთავების შესყიდვას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
მინისტრის

KA060129942367413

ბრძანება №0-6

ქ. თბილისი

10 / მაისი / 2013 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 13 ერთეული ბეჭდვისა და შტამპების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 13 ერთეული ბეჭდვისა და შტამპების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსების ფარგლებში, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, 13 ერთეული ბეჭდვის და შტამპების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს გაფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება;

2.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

3. დაევალოს საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების სამმართველოს კანონით დადგენილი წესით ამ ბრძანების მიწოდება ადმინისტრაციული დეპარტამენტისათვის.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის ბრძანება გადაუდებელი აუცილებლით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც აღნიშნული ხასიათის სახელმწიფო შესყიდვებს ათანხმებს მის ზემდგომ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარესთან.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარეს ბატონ არჩილ ხაბაძეს

ბატონო არჩილ,

წარმოგიდგენთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის" დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის" დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის №18 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის" ქვეპროგრამით - „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" გათვალისწინებული კაკლის ნერგების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებების პროექტებს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი: 11 ფურცელი.

პატივისცემით,
მინისტრი

ზაურ ფუტკარაძე

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეთანხმება მთავრობის თავმჯდომარესთან

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე ზემდგომ ორგანოსთან/ თანამდებობის პირთან მიწერილობის შესახებ მოთხოვნები უპასუხოდ დატოვა ოთხმა ცენტრალურმა საჯარო დაწესებულებამ, ხოლო რვა დაწესებულების შემთხვევაში 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვები არ განხორციელებულა. აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს შემდეგმა დაწესებულებებმა:

- **საქართველოს პარლამენტი**
- **შინაგან საქმეთა სამინისტრო**
- **ფინანსთა სამინისტრო**
- **აჭარის ა/რ მთავრობა**

რა შეეხება გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ შესყიდვების სიის შესახებ მოთხოვნას უპასუხოდ დატოვეს შემდეგმა დაწესებულებებმა:

- **შინაგან საქმეთა სამინისტრო**
- **აჭარის ა/რ მთავრობა**

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი იქნა შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით. სხვადასხვა დაწესებულებების მხრიდან აღნიშნული მოთხოვნა არ იქნა სრულყოფილად დაკმაყოფილებული.

ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 294890,43 - ლარის ოდენობით საქონლის/მომსახურების შესყიდვა.
ფინანსთა სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე. მოცემულია მხოლოდ განხორციელებული შესყიდვები ჯამური ოდენობა

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების შესახებ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები გამოიყურება შემდეგნაირად:





IDFI-ის მოთხოვნები:

1) *სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია (გთხოვთ მიუთითოთ შესაბამის თანამდებობის პირზე ან თანამშრომელზე დროებით მფლობელობაში გადაცემულ ავტომანქანაზე გაწეული მომსახურების სახე, თანხის ოდენობა და მომსახურების პერიოდი; ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება*

2) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით)

IDFI - იმ ყველა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას მიმართა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სიის მოთხოვნით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა. როგორც გაირკვა ცენტრალური

დაწესებულებების უმრავლესობის (16) შემთხვევაში ჩანაცვლებას ადგილი არ ჰქონია. ექვსმა დაწესებულებამ აღნიშნული მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა. არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 4 მოთხოვნაზე, ხოლო დანარჩენი 3 დაწესებულების მიერ უპასუხოდ იქნა დატოვებული აღნიშნული მოთხოვნა. რაც შეეხება ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, აღნიშნული მოთხოვნა გაეგზავნა 20 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას, რომელთაგან 13 შემთხვევაში პასუხი სრულყოფილია, 5 შემთხვევაში - არასრულყოფილი, დანარჩენი 2 დაწესებულების მიერ უპასუხოდ იქნა მოთხოვნა დატოვებული.



ჩანაცვლების წესით შეძენილი ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესახებ მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს ან არასრულყოფილი პასუხები გასცეს შემდეგმა დაწესებულებებმა:

უპასუხო

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- აფხაზეთის ა/რ მთავრობა

არასრულყოფილი

- ფინანსთა სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- აჭარის ა/რ მთავრობა
- აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2013 - წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისთვის ჩანაცვლების წესით შეძენილი იქნა 22 ავტომანქანა ღირებულებით 212805,00 ლარი.
ფინანსთა სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ჩანაჩვლების წესით შეძენილი ავტომობილების შესახებ

აჭარის ა. რ მთავრობის აპარატის მიერ 2013 წლის განმავლობაში შეძენილი კომპიუტერული ტექნიკა

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ასლგადამღები/ფაქსი A4 ფორმატის) HP Officejer Pro 8600 Plus	1	609	609
2	მრავალფუნქციური ლაზერული აპარატი (პრინტერი/სკანერი/ასლგადამღები A4 ფორმატის) Canon MF 4410	1	360	360
3	პრინტერი ლაზერული A4 ფორმატის - Samsung ML 2165	1	165	165
4	მონიტორი Philips 196V3LAB5 18,5 "LED"	2	200	400
5	პორტალური კომპიუტერი - MACBOOK PRO	2	2394,5	4789
6	მრავალფუნქციური ლაზერული აპარატი A4 ფორმატის Canon Multifunctionali-SENSYS MF 4410	3	350	1050
7	ნოუთბუქი - HP Probook 4540 15,6	3	1065	3195

აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის მიერ არ არის დაკონკრეტება რომელი კომპიუტერული ტექნიკაა შეძენილი ჩანაცვლების წესით

ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია უპასუხოდ დატოვეს ან აღნიშნული მოთხოვნა არასრულყოფილად იქნა მოწოდებული შემდეგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ:

უპასუხო

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

არასრულყოფილი

- ფინანსთა სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ენერგეტიკის სამინისტრო
- იუსტიციის სამინისტრო
- განათლებისა და მეცნერების სამინისტრო

დანართი №5

2013 წელს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე (მათ ტექნიკური მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი საშუალებებისა და საბურავების ღირებულებების ჩათვლით) გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა და მოდელი	სულ გაწეული ხარჯი (ლარი)
1	LEXUS LS 460 L	8 978,30
2	LEXUS LS 400	0,00
3	VOLKSWAGEN TOUAREG	0,00
4	VOLKSWAGEN TIGUAN	3 711,50
5	VOLKSWAGEN PASSAT 3 CC	554,95
6	VOLKSWAGEN TRANSPORTER T5	0,00
7	KIA SPORTAGE	2 871,00
8	TOYOTA LANDCRUISER LC 150	1 088,20

იუსტიციის სამინისტროს მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითება საჯარო მოხელის თანამდებობის რომლის დროებით მფლობელობაშიც იმყოფება კონკრეტული ავტომობილი

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ცენტრალური დაწესებულებების მხრიდან ინსტიტუტის მოთხოვნასთან დამატებით მოწოდებულია ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების პირველადი დოკუმენტაცია.

TOYOTA
QUALITY SERVICE
საჯარიელო, თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 20-ე კმ.
ტელ: 2522022/2531963, ფაქსი: 2530531
დამკვეთი: ს/ნ 203851126
საქ. კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

შესრულებული მომსახურების
მიღება-ჩაბარების აქტი #: 89294

ტრანსპორტის სახე:	შეკვეთის შესრულების ვადა:
მოდელი: LC200 სახ.ნომერი: WGW353 გარბენი: შასის # :JTMHT05J704035073 მწარმ.:TOYOTA	შეკვეთის დაწყების დრო: 07/02/2013 შეკვეთის დასრულების დრო: 07/02/2013

	შესრულებული სამუშაო	სამუშაოს ღირებულება
1	სავალი ნაწილის შემოწმება	25.00
2	შეზეთვა	15.00
		40.00

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დამატებით მოწოდებულიავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების პირველადი დოკუმენტაცია

წარმომადგენლობითი ხარჯი

IDFI-ის მოთხოვნა : *2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);*

2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას. აღნიშნულ მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი გასცა 19 მათგანმა. არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 8 შემთხვევაში, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ 2013 წელს წარმომადგენლობითი ხარჯები არ გაწეულა**.



2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ ინფორმაცია არასრულყოფილად იქნა მოწოდებული შემდეგი დაწესებულებების მიერ:

- **საგარეო საქმეთა სამინისტრო**
- **ფინანსთა სამინისტრო**
- **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**
- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**
- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

- ევროპულ და ევროატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- საქართველოს მთავრობის კანცელარია
- საქართველოს პარლამენტი

თარიღი	დავ.#	თანხა	მიმღები
2204	წარმომადგენლობითი ხარჯები		
29.01.2013	289	1 125,00	შპს, შპს აიდიეს ბორჯომი თბილისი
04.02.2013	326	1 008,67	შპს გუდვილი
12.03.2013	879	200,00	შპს პროგრეს გრუპ
12.03.2013	875	914,71	შპს გუდვილი
13.03.2013	910	2 160,00	შპს პროგრეს გრუპ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი.

მისასალმებელი ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ცენტრალური დაწესებულებების მხრიდან ინსტიტუტის მოთხოვნასთან დამატებით აგრეთვე მოწოდებულია წარმომადგენლობითი ხარჯების პირველადი დოკუმენტაცია.



აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამატებით გამოგზავნილი კონკრეტული წარმომადგენლობითი ხარჯის პირველადი დოკუმენტაცია.

აუდიტი

IDFI - ის მოთხოვნები :

1) 2013 წლის აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;

2) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა

3) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგად დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით);

4) 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

2013 წლის აუდიტორული შემოწმების აქტების მოთხოვნით IDFI - იმ მიმართა 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციამ აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. **ერთადერთ დაწესებულებას, რომელმაც აუდიტორული შემოწმების აქტების გაცემაზე უარი განაცხადა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2013 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშებისა და აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით: შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს აუდიტს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და პარტნიორის მომართვის საფუძველზე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საზოგადოებებში. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია უარი ითქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხი აუდიტორულ შემოწმებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 11 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებაში 2013 წლის არანაირი სახის (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აუდიტორული შემოწმება არ განხორციელებულა.

აუდიტორული შემოწმების აქტებთან ერთად ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი იქნა აგრეთვე აუდიტის შედეგების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა, დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების რაოდენობის და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების ნუსხა. აღნიშნული მოთხოვნები უპასუხოდ იქნა დატოვებული შემდეგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ:

აუდიტის შედეგების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის და დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ინფორმაცია უპასუხოდ დატოვა

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების ნუსხა უპასუხოდ დატოვა

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ენერგეტიკის სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ამასთან აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით მათ მიერ შესყიდვების განხორციელებისას ეტაპობრივად ხდება შიდა აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინება, თუმცა ამ დროისათვის რომელი კონკრეტული რეკომენდაციაა გათვალისწინებული არ არის მითითებული.

15. სამინისტროს მიერ მიმდინარე შესყიდვების განხორციელებისას ეტაპობრივად ხდება შიდა აუდიტის სუბიექტის რეკომენდაციების გათვალისწინება.
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული არასრულყოფილი პასუხი

საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან 2013 წლის აუდიტორულ შემოწმებებთან დაკავშირებით გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები გამოიყურება შემდეგნაირად.





ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების დიპლომები

IDFI-ის მოთხოვნა *ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;*

ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების დიპლომების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა 27 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას. აღნიშნულ მოთხოვნა 23 მათგანმა სრულყოფილად დააკმაყოფილა. **დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ პრემიებისა და სახელფასო დანამატების მსგავსად აღნიშნულ მოთხოვნაზეც განიმარტა, რომ შეიცავდა პერსონალური მონაცემების ნიშნებს და მისი გაცემის დასაშვებობასთან დაკავშირებით შეკითხვა გადაგზავნილი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან. აპარატის მიერ 3 თვის დაგვიანებით მოწოდებულია მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის მოადგილეების დიპლომები.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და იუსტიციის სამინისტროებმა აღნიშნეს, რომ მათი ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების დიპლომები სამინისტროში არ იყო დაცული, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ.



რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას, იუსტიციის მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გადმოცემის თაობაზე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტები სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში დაცული არ არის.
იუსტიციის სამინისტროს პასუხი ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ.



IDFI-ის მოთხოვნა *2014 წლის იანვრის თვეში ხელმძღვანელის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები*

ხელმძღვანელის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა 25 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას. როგორც აღმოჩნდა აღნიშნული მოთხოვნა ყველაზე პრობლემატური აღმოჩნდა დაწესებულებებისათვის. ექვსმა ცენტრალურმა დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მის გაცემაზე უარი განაცხადა. 8 დაწესებულების მხრიდან უპასუხოდ იქნა დატოვებული აღნიშნული მოთხოვნა. 7 შემთხვევაში დაწესებულებებმა არ უარყვეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, თუმცა მოკლებული იყვნენ გამოგზავნის შესაძლებლობას ვინაიდან მონაცემები არ იყო შენახული. მხოლოდ 4 დაწესებულების მიერ იქნა მოწოდებული აღნიშნული ინფორმაცია სრულყოფილად.



ექვსი ცენტრალური საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნული დოკუმენტების გაცემაზე უარი გამყარებული იყო არგუმენტებით, რომ : **„მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას“**. ჩვენი სამართლებრივი მოთხოვნის უფლება დაფუძნებულია სზაკ-ის განმარტებაზე, რომ - ***„მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით*** *მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“* **საჯარო ინფორმაცია, ანუ ოფიციალური დოკუმენტია.** ამავე დროს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსში საჯარო ინფორმაცია განმარტებულია როგორც ოფიციალური დოკუმენტი ***მათ შორის ელექტრონული ინფორმაცია***, აქედან გამომდინარე ჩვენი აზრით ელექტრონული გზავნილი, ანუ ოფიციალური მეილი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია რა სამართლებრივ საფუძველზე ამყარებენ ინფორმაციის გაცემაზე უარს ადმინისტრაციული ორგანოები.

ხელმძღვანელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ელექტრონული მიმოწერის შესახებ მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს ან აღნიშნულის გასაჯაროებაზე უარი განაცხადეს შემდეგმა დაწესებულებებმა:

უპასუხო	უარი
•აფხაზეთის ა/რ მთავრობა •განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო •საგარეო საქმეთა სამინისტრო •შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო •აჭარის ა/რ მთავრობა •ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო •შინაგან საქმეთა სამინისტრო •აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	•სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო •ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი •თავდაცვის სამინისტრო •იუსტიციის სამინისტრო •ფინანსთა სამინისტრო •დიასპორის საკითებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

4. მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ პუნქტის შესაბამისად, არ მიეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტაციას. გარდა, ზემოაღნიშნულისა, სამსახურებრივ მეილზე არსებული მიმოწერა ხშირად მოიცავს როგორც სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს, ასევე, შიდა უწყებრივ მიმოწერას, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად, არა თუ საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება, არამედ, ხელმისაწვდომი არ არის დაინტერესებული მხარეებისთვისაც.
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პასუხი

ხელმძღვანელის ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების მოწოდება უზრუნველყო მხოლოდ შემდეგმა დაწესებულებებმა:

- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**
- **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო**
- **აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
- **აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

Davit Narmania

From: Davit Narmania <davit.narmania@mrdi.gov.ge>
Sent: Wednesday, January 22, 2014 10:56 PM
To: 'Kakha Tsetskhladze'
Subject: RE: FW: 5 milionze meti

მსგავსი ინფორმაციები ყველასგან წამოიღე და ერთიანი ფორმატით გააკეთე ვებ-გვერდზე დასადებად.

დათო

-----Original Message-----
From: Kakha Tsetskhladze [mailto:k.tsetskhladze@mrdi.gov.ge]
Sent: Monday, January 20, 2014 12:34 PM
To: davit.narmania@mrdi.gov.ge
Subject: Fwd: FW: 5 milionze meti

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი წერილის ასლი

GEORGIA
INTERNATIONAL
CHAMBER OF COMMERCE

ტონი ფადი ასლი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის სამეთვალყურეო საბჭ
თავჯდომარე მოხარულია მოგიწვიოთ საერთაშორისო სავაჭრო პალატის
აჭარის წარმომადგენლობის გახსნაზე

ოფისის გახსნის ცერემონია გაიმართება პარასკევს, 28 თებერვალს, 17:00
საერთაშრისო ინვესტორთა ასოციაციის ოფისში
ბაქოს ქუჩა # 60, ბათუმი საქართველო

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ელექტრონული ფოსტით მიღებული მოსაწვევი

არასტანდარტულ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები

ინსტიტუტის მიერ სტანდარტული მოთხოვნების გარდა სხვადასხვა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით დამატებით გაეგზავნათ მოთხოვნები კონკრეტული საკითხების შესახებ. სულ გაიგზავნა აღნიშნული ხასიათის 86 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, რომელთაგან სრულყოფილი პასუხი მიღებულია 64 შემთხვევაში. უარი ინფორმაციის გაცემაზე მიღებულია 2 შემთხვევაში. უპასუხოდ დატოვებულია 9 მოთხოვნა, ხოლო 11 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ კონკრეტული ინფორმაცია არ გააჩნდათ ან ქმედება არ ჰქონდათ განხორციელებული.



საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება დაწესდეს 10 დღიანი ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა დიდი მოცულობის ინფორმაცია, ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ათი სამუშაო დღე, მიუხედავად იმ ფაქტისა დაწესებულებამ მოითხოვა თუ არა 10 დღიანი ვადა ინფორმაციის გასაცემად.

საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილი 493 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან ინსტიტუტმა 315 შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო 10 დღიანი ვადის დაცვით. კვლევის პერიოდში ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით 178 შემთხვევაში დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაცემულია იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მომთხოვნს იგი მოთხოვნიდან 3 დღეში მიეწოდა, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 25. განცხადებების რაოდენობა რომელზეც მოითხოვეს 10 დღიანი ვადა და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება შეადგენს 115-ს. ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ 79 შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა 10 დღიანი ვადა თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ან უპასუხოდ იქნა დატოვებული ან მოწოდებულია აღნიშნული ვადების დარღვევით. 175 შემთხვევაში არ არის მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 99 შემთხვევაში 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშე დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი ვადები.



მიღებული დოკუმენტაციის ფორმები

სზაკ-ის 37-ე მუხლი აწესებს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლებას. ინსტიტუტი იყენებდა ხსენებულ უფლებას და საჯარო დაწესებულებებს თხოვდა, ის ინფორმაცია რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოეწოდებინათ ელექტრონული დოკუმენტის სახით, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.
IDFI-ის მოთხოვნა დაწესებულებებისათვის ინფორმაციის მოწოდების ფორმასთან დაკავშირებით

მიუხედავათ იმ ფაქტისა, რომ ინსტიტუტის მიერ უპირატესობა მინიჭებული იქნა დოკუმენტაციის ელექტრონული სახით მოწოდებაზე, საჯარო დაწესებულებები უფრო ხშირად ინფორმაციას გასცემდნენ ბეჭდური სახით, რაც მოითხოვს ადმინისტრაციული

რესურსის მეტ დანახარჯს ელექტრონული ინფორმაციის მოწოდებისგან განსხვავებით. აგრეთვე ინსტიტუტი წააწყდა შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული მოთხოვნილი ინფორმაცია მოწოდებულ იქნა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.



ჩვენი აზრით იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაწესებულებაში ელექტრონული ფორმით ინახება და არსებობს განმცხადებლის მოთხოვნა - მიიღოს ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოწოდების უფრო ეფექტური ფორმა - ელექტრონული. აღნიშნული, ერთი მხრივ, დაზოგავს დაწესებულების ადმინისტრაციული რესურსის ძალისხმევას, ხოლო მეორე მხრივ, მისცემს განმცხადებელს საშუალებას გათავისუფლებულ იქნას საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის გადახდისაგან, რაც საბოლოო ჯამში დააჩქარებს და გაამარტივებს საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცესს.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი

2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 მარტამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მიხედვით შემუშავდა მათი ხსენებულ პერიოდში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი. ცენტრალური საჯარო დაწესებულებათა რეიტინგის შედგენისას გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების მიხედვით:

მიღებული ინფორმაციის შეფასების კოეფიციენტები	
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	**1**
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	**0,99**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	**0,5**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	**0,49**
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	**0,6**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	**0,3**
მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ	**0**
არასამართლებრივი უარი ინფორმაციის გაცემაზე	**0**

ინსტიტუტის შეფასებით ხსენებულ პერიოდში ყველაზე მეტ მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი 10 დღიანი ვადის დაცვით გასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ხოლო ყველაზე არა ანგარიშვალდებულ საჯარო დაწესებულებას აღნიშნულ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

N	ცენტრალური საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა %
1	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	**16**	**16**	**0**	**0**	**0**	**16**	**100%**
2	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	**13**	**13**	**0**	**0**	**0**	**13**	**100%**
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	**13**	**13**	**0**	**0**	**0**	**13**	**100%**
4	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**13**	**13**	**0**	**0**	**0**	**13**	**100%**
5	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	**7**	**7**	**0**	**0**	**0**	**7**	**100%**
6	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**12**	**12**	**0**	**0**	**0**	**8**	**99,70%**
7	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	**8**	**8**	**0**	**0**	**0**	**4**	**99,5%**
8	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**11**	**10**	**1**	**0**	**0**	**11**	**95,50%**
9	საქართველოს მთავრობის კანცელარია	**9**	**8**	**1**	**0**	**0**	**9**	**94,40%**
10	აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**8**	**7**	**1**	**0**	**0**	**8**	**93,80%**
11	თავდაცვის სამინისტრო	**12**	**11**	**0**	**1**	**0**	**10**	**91,6%**
12	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**11**	**10**	**0**	**1**	**0**	**0**	**90,80%**
13	აფხაზეთის ა/რ მთავრობა	**17**	**15**	**0**	**0**	**2**	15	**88,20%**
14	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	**11**	**9**	**1**	**0**	**1**	**10**	**86,4%**
15	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**7**	**6**	**0**	**0**	**1**	**6**	**85,70%**
16	საქართველოს პარლამენტი	**14**	**11**	**2**	**0**	**1**	**12**	**85,60%**
17	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	**19**	**15**	**0**	**0**	**4**	**15**	**78,90%**
18	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**19**	**14**	**2**	**0**	**3**	**12**	**78,70%**
19	საგარეო საქმეთა სამინისტრო	**14**	**9**	**4**	**0**	**1**	**0**	**77,60%**
20	დიასპორის საკითებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	8	5	2	1	0	5	**74,60%**
21	ევროპულ და ევროატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**8**	**5**	**2**	**1**	**0**	**0**	**74,10%**
22	შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**12**	7	**3**	0	2	10	**70,80%**
23	ენერგეტიკის სამინისტრო	14	10	3	0	1	13	**70,70%**
24	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	**17**	**10**	**3**	**0**	**4**	**13**	**67,60%**
25	იუსტიციის სამინისტრო	**14**	**8**	**2**	**1**	**3**	**0**	**63,60%**
26	ფინანსთა სამინისტრო	**14**	**4**	**8**	**1**	**1**	**2**	**57%**
27	აჭარის ა/რ მთავრობა	**15**	**7**	**1**	**0**	**7**	**8**	**50%**
28	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	**15**	**2**	**7**	**4**	**2**	**1**	**36,10%**
29	შინაგან საქმეთა სამინისტრო	**26**	**8**	**0**	**2**	**16**	**0**	**30,5%**

შენიშვნა N1 : მოთხოვნებზე, რომლებზეც მიღებულია პასუხი, რომ ინფორმაცია არ აქვთ ან კონკრეტული ქმედება არ განხორციელებულა, რეიტინგის შედგენისას არ არის ასახული

შენიშვნა N2: ენერგეტიკის სამინისტროს არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მთელი რიგი ინფორმაცია სრულყოფილად მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შედარება განვლილი პროექტის მაჩვენებლებთან

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი იქნას რამდენად შენარჩუნებულია ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე არსებული დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. 2013 წლის ოქტომბერი-2014 წლის მარტი პერიოდში ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვნებლების განვლილი პროექტის ფარგლებში არსებული მაჩვენებლების შედარებით ირკვევა, რომ **სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია 14% -ით, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები გაზრდილია 5%-ით.**



შენიშვნა: დიაგრამაზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული იმგვარი პასუხები, სადაც იუწყებიან რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ.

განვლილი პროექტის მაჩვენებელთან შედარებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლის მატება შეინიშნება მხოლოდ 11 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში. **განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - პროგრესი 20%. სამი დაწესებულების შემთხვევაში კვლავ შენარჩუნებულია ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი, ხოლო დანარჩენი 15-მა**

ცენტრალურმა საჯარო დაწესებულებამ განვლილ პროექტთან შედარებით განიცადა მეტ-ნაკლები რეგრესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი შემცირდა 61%-ით.



საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მხრიდან მიდგომების ცვლილებების საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ ერთი და იგივე მოთხოვნაზე განვლილ და მიმდინარე პროექტში მოწოდებულ დოკუმენტაციას.

მაგალითად პრემიების შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ განვლილ პროექტში მოგვაწოდა დეტალურად თითოეულ თანამდებობის პირზე, **ამჯერად აღნიშნული მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დარიცხვა
1	ხიზანიშვილი შოთა გივის ძე	63,500
2	ჯანაშვილი შალვა გიორგის ძე	60,750
3	ლორთქიფანიძე გიორგი გურამის ძე	58,250
4	ამირანაშვილი მიხეილ ომარის ძე	54,500
5	ზღულაძე-გლუჭსმანნ ეკატერინე მიხეილის ასული	53,250
6	მაისურაძე ზურაბ შალვას ძე	47,125
7	ხარშილაძე ნოდარ მერაბის ძე	37,500
8	კოდუა ერეკლე ნოდარის ძე	35,500
9	გოგოძე ოთარ რევაზის ძე	32,250
10	ძიმცეიშვილი ნიკოლოზ ჯემალის ძე	31,250
11	კანთელაძე ლევან მურმანის ძე	30,625
12	ბაზაძე ოთარ ვლადიმერის ძე	28,750
13	როგავა დავით რევაზის ძე	28,305
14	თავართქილაძე ზვიად ბეგლარის ძე	26,888
15	ამირიძე ალექსანდრე ვალერიანის ძე	24,900
16	უჯიაშვილი შოთა ალბერტის ძე	24,215
17	ჭილაძე გიორგი ვაჟას ძე	20,875
18	კვინიხიძე შალვა ბესარიონის ძე	18,750
19	კორახაშვილი დავით ჯემალის ძე	18,500
20	მესხელი ამირან ნიკოლოზის ძე	18,000
21	კიკნაძე გიორგი გულიელერის ძე	16,839
22	ბედია დავით ომარის ძე	16,550

განვლილი პროექტის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ

სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განვლილ პროექტში მოგვაწოდა დეტალურად თითოეულ თანამდებობის პირზე, ამჯერად მხოლოდ ჯამური ოდენობა.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი
კვირიკაშვილი გიორგი - მივლინება(ქვეყნის გარეთ)

2012 წლის 26 ნოემბრიდან

	ბრძანება				საგადასახადო მოთხოვნა			
№	ბრძ№	თარიღი	ქვეყნის დასახელება	სახელი, გვარ	№	გადარიცხვის თარიღი	სულ.ხარჯი	მ/შორის მგზავრობის (ამბილეთის ხარჯი)
1	#ჯ-2/409	22.11.2012წ	თურქეთი	გიორგი კვირიკაშვილი	13472	26/11/2012	959.94	702.90
2	#ჯ-2/425	10.12.2012წ	ეგვიპტე	გიორგი კვირიკაშვილი	13674	10/12/2012	1351.00	
3	#ჯ-2/425	10.12.2012წ	ეგვიპტე	გიორგი კვირიკაშვილი	13678	11/12/2012	542.30	
							2853.24	702.90

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია განვლილი პროექტის ფარგლებში მოწოდებულია კონკრეტულ თანამდებობის პირის მიხედვით.



ინფორმაცია დანამატების, პრემიების და მივლინების (ქვეყნის გარეთ) ხარჯების შესახებ 2013 წელში თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა დანარჩენ თანამშრომლებზე (ჯამურად)

პუნქტი#	დასახელება	თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის 1-ლი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩეველი, დეპარტამენტის უფროსები და მოადგილეები, სამსახურის უფროსები და მოადგილე, ბიუროს უფროსი, სამმართველოს უფროსები)	სხვა დანარჩენი თანამშრომლები (გარდა თანამდებობის პირებისა)
#7	მივლინება (ქვეყნის გარეთ)	343764,15	-

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიმდინარე პროექტის ფარგლებში მოწოდებულია მხოლოდ სამივლინებო ხარჯების ჯამური ოდენობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია განვლილ პროექტში მოგვაწოდა თითოეულ თანამდებობის პირზე სახელისა და გვარის მითითებით, ამჯერად მხოლოდ ჯამური ოდენობა.

2012 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აპარატში გაცემული პრემიები

			იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
	ხელმძღვანელობა														
1	მინისტრი	გეორგაძე დიმიტრი		3540		3540		3540	7080	3540					21240
2	მინისტრი	ხუციგური ალექსანდრე									10620	7080			17700
3	მინისტრის პირველი მოადგილე	პეტრიაშვილი პაპუნა	0	5900	2950	3250	5900	2950	2950	2950	5900	5900			38650
4	მინისტრის მოადგილე	გურგენიძეშვილი ჯოჯა	2720	8160	5440	8460	8160	5440	5440	5440	8160	5440			62860
5	მინისტრის მოადგილე	გეგულარია რუსუდანი	0	5440	3020	3020	5440	2720	2720	2720	5440	5440			35960
6	მინისტრის მოადგილე	ხარაიძე აეთანდილი	2720	5440	2720	3020	5440	2720	2720						24780
7	მინისტრის მოადგილე	ბაიბურთი გრიგოლი		5440	2720	3020	5440	2720	2720	2720	5440	5440			35660
8	მინისტრის მოადგილე	ებანოიძე ჯაბა		5440	2720	3020	8160	2720	2720	2720	5440	5440			38380
9	მინისტრის მოადგილე	ლეონავა ვახტანგი							5440	5440	5440	5440			21760
10	მინისტრის მოადგილე	კოვზორიძე თამარი							6650	5440					12090
11	მინისტრის მოადგილე	ენუქიძე ნინო									8160	5440			13600
12	მინისტრი	ხაფური ნოდარი											3540	3540	7080
13	მინისტრის მოადგილე	თაბუაშვილი გიორგი											2950	2950	5900
14	მინისტრის მოადგილე	ლეკვეკა დავითი											2720	2720	5440
15	მინისტრის მოადგილე	ებრალიძე დავითი											2720	2720	5440
16	მოადგილე მრჩეველი	კინწურაშვილი კონსტ	2720	8160	5440	5740	8160	5440	8160	5440	8160	5440	2130	2130	67120
17	მიურის უფროსი	აბულაძე ეკა	2130	4260	4560	4560	6390	4260	4260	8520					38940
18	მიურის უფროსი	შაქარაშვილი დავითი											6390	2130	8520

ფინანსთა სამინისტროს მიერ განვლილი პროექტის ფარგლებში მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიებისა და დანამატების შესახებ.

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს - 175365 ლარს;

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს;

ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმიდინარე პროექტის ფარგლებში მოწოდებულია მხოლოდ ჯამური ოდენობა

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია განვლილ პროექტში წარმოადგინა დეტალურად სახელისა და გვარის მითითებით, ამჯერად ინსტიტუტს განუმარტა რომ აღნიშნული ინფორმაცია შეიცავს პერსონალური მონაცემების ნიშნებს და მხოლოდ 3 თვის დაგვიანებით დააკმაყოფილა ინსტიტუტის მოთხოვნა.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომელთა 2012 წ. პრემიები (ლარებში)

გვარი, სახელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	სულ პრემია
დავითაია მირზა	3540	3540	3540	4956	3540	3540	3540	3540	3540	3540		36816
ნადირაძე ირაკლი	2950	2950	2950	4130	2950	2950	2950					21830
ავალიანი ნიკოლოზ	2720	2720	2720	3808	2720	2720	2720	2720	2720	2720		28288
კერესელიძე დავით									2950	2950		5900
სურგულაძე კონსტანტინე											2440	2440
სარაჯიშვილი ზაალ											2280	2280
გულალაშვილი მუხრან											2120	2120
სულ თანამშრომლები												59845
სულ ჯამი	9210	9210	9210	12894	9210	9210	9210	6260	9210	9210	6840	159519

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განვლილი პროექტის ფარგლებში მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიებისა და დანამატების შესახებ.

განმარტება
მოთხოვნილ ზოგიერთ საჯარო ინფორმაციასთან
დაკავშირებით

1-3. ეს ინფორმაცია, რამდენადაც იგი შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „პერონალური მონაცემის“ ნიშნებს, გაცნობებთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეკითხვა მისი გაცემის დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაეგზავნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტება, რომ თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიები და სახელფასო დანამატები შეიცავს პერსონალურ მონაცემების ნიშნებს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განვლილ პროექტთან განსხვავებით პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა სრულყოფილი სახით.

დანართი 1

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
სამინისტროს თანამდებობის პირები	21450	14650	14650	35750	27470	16750	29450	15800	18450	11000	22300		227720
სამინისტროს თანამშრომლები	6500	625		56840	17420	2000	21780		3820	17570	12600		139155
სულ	27950	15275	14650	92590	44890	18750	51230	15800	22270	28570	34900	0	366875

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განვლილი პროექტის ფარგლებში მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია პრემიებისა და დანამატების შესახებ.

2013 წლის დეკემბრის თვის პრემია

#	სახელი გვარი	თანამდებობა	სულ
1	ზურაბ აზმაიფარაშვილი	მინისტრის პირველი მოადგილე	2950
2	რატი ბრეგაძე	მინისტრის მოადგილე	2720
3	თამაზ თევზაძე	მინისტრის მოადგილე	2720
4	აკაკი ლოდია	მინისტრის მოადგილე	3970
5	ირინე გულიაშვილი	მინისტრის აპარატის უფროსი	2100
6	წინო თოფურია	მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე	1700
7	გიორგი მაჭავარიანი	დეპარტამენტის უფროსი	3000
8	წანა ფერაძე	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2450
9	წატო გუჯაბიძე	დეპარტამენტის უფროსი	2900
10	დავით ქვრივიშვილი	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1700
11	თამაზ წინუა	დეპარტამენტის უფროსი	2900
12	ირაკლი შონვაძე	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1700
13	ირაკლი დოლაბერიძე	დეპარტამენტის უფროსი	2100
14	გიორგი ასათიანი	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1700
15	წუგზარ კანდელაკი	დეპარტამენტის უფროსი	2100
16	ვახტანგ ასანიძე	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1700
17	ბელა ბერაძე	დეპარტამენტის უფროსი	2100
18	დავით მეტრეველი	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1700
	სულ		42210

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე პროექტის ფარგლებში მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიების შესახებ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები

2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 მარტამდე პერიოდში IDFI - იმ გაასაჩივრა სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნის არასრულყოფილად გაცემის, უპასუხოდ დატოვებისა თუ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები. აღნიშნულ პერიოდში ინსტიტუტის მიერ ადმინისტრაციული საჩივარი გაეგზავნათ შემდეგ ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს:

- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**
- **ფინანსთა სამინისტრო**
- **ენერგეტიკის სამინისტრო**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს IDFI - იმ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა 2014 წლის 24 თებერვალს. ინსტიტუტის მიერ გასაჩივრებულია სამინისტროს მიერ 8 მოთხოვნაზე გაცემული არასრულყოფილი პასუხი და ოთხ მოთხოვნაზე უარი ინფორმაციის გაცემაზე.

სამინისტრომ აღნიშნული საჩივარი მიიღო წარმოებაში და განსახილველად მიწვეული იქნა ინსტიტუტის წარმომადგენლები. საჩივრის განხილვის შემდგომ სამინისტროს გადაწყვეტილება ჯერ-ჯერობით ინსტიტუტს არ მიუღია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს IDFI - იმ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა 2014 წლის 17 მარტს. ინსტიტუტის მიერ გასაჩივრებულია სამინისტროს მიერ 8 მოთხოვნაზე გაცემული არასრულყოფილი პასუხი და ორ მოთხოვნაზე უარი ინფორმაციის გაცემაზე.

სამინისტრომ უარი განაცხადა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და ინსტიტუტს განუმარტა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ქმედება უნდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში.

IDFI – იმ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით და საქმის განხილვის დაწყების მოლოდინის პროცესშია.

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 08-02/20572
28/03/2014

20572-08-02-2-201403281408

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს

ბატონ გიორგი კლდიაშვილს

(მის.: ალ. გრიბოედოვის ქ.N3, თბილისი 0108, საქართველო)

ბატონო გიორგი,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემოსულია თქვენი მიმდინარე წლის 17 მარტის NOPD/CPT14-003 (რეგისტრაციის #37761/01) ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც ასაჩივრებთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ქმედებას. კერძოდ, ითხოვთ გაცემული იქნეს ის საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითრების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვრის NOPD01/14-016 წერილით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

„პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) ამოღებულია (25.05.2012. N6327)

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.".

ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ქმედება უნდა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს IDFI - იმ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა 2014 წლის 11 თებერვალს. ინსტიტუტის მიერ გასაჩივრებულია სამინისტროს მიერ 7 მოთხოვნაზე გაცემული არასრულყოფილი პასუხი და ერთ მოთხოვნის უპასუხოდ დატოვება.

28 თებერვალს გამართული ზეპირი მოსმენის საფუძველზე, ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის ბრძანებით სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა დაევალა. ენერგეტიკის

მინისტრის ბრძანების საფუძველზე ინსტიტუტმა მიიღო მთელი რიგი მოთხოვნები სრულყოფილად:

ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები 2013 წლის I კვარტალი		
	თანამდებობის პირები	სხვა თანამშრომლები
ქვეყნის შიგნით	2,075.00	2346.49
ქვეყნის გარეთ	15923.32	3267.93
სულ	**17,998.32**	**5614.42**

ენერგეტიკის სამინისტროს მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის გაგზავნამდე.

სამივლინებო ბარათი - 2013 წელი

მივლინებული პირი: მარიამ ვალიშვილი — **თანხა ლარებში**

№	მივლინების ბრძანება		მივლინების ადგილი	გასვლის თარიღი	დაბრუნების თარიღი	ხარჯები				
	ნომერი	თარიღი				დღიური	სასტუმრო	მგზავრობა	სხვა	სულ
1	16- მ	14-Feb-13	თურქეთი	13-Feb-13	15-Feb-13	363.97		775.70		1,139.67
2	27-მ	7-Mar-13	ავსტრია	13-Mar-13	15-Mar-13	539.01				539.01
3	33-მ	12-Mar-13	ბელგია	18-Mar-13	21-Mar-13	554.89	529.00	1,464.30		2,548.19
4	69-მ	14-May-13	ბუქარესტი	22-May-13	24-May-13	308.60	370.00	1,574.30		2,252.90
5	71-მ	23-May-13	ბრიუსელი	27-May-13	29-May-13		1,140.49			1,140.49
6	79-მ	31-May-13	სტამბოლი	3-Jun-13	5-Jun-13	211.70				211.70
7	84-მ	6-Jun-13	ასტანა	10-Jun-13	12-Jun-13	340.33	479.52	1,290.20		2,110.05
8	96-მ	25-Jun-13	ბაქო	27-Jun-13	29-Jun-13	294.69		612.00		906.69
9	135-მ	6-Sep-13	ბელგია	10-Sep-13	12-Sep-13	427.43	305.68	2,924.80		3,657.91
10	140-მ	17-Sep-13	ლიუბლიანა	24-Sep-13	27-Sep-13	497.51	1,971.28			2,468.79
11	159-მ	4-Oct-13	კიევი	10-Sep-13	11-Oct-13	296.61		964.40		1,261.01
12	193-მ	19-Nov-13	თურქეთი	20-Nov-13	23-Nov-23	489.97	1,222.67	534.00		2,246.64
13	199-მ	26-Nov-13	ვილნიუსი	27-Nov-13	30-Nov-13	401.22	856.49	1,456.00		2,713.71
14	202-მ	27-Nov-13	კვიპროსი	4-Dec-13	8-Dec-13	1,699.89	691.91	1,386.00		3,777.80
15	214-მ	10-Dec-13	ვაშინგტონი	11-Dec-13	14-Dec-13	696.62	920.82	4,123.90		5,741.34
16	215-მ	10-Dec-13	ვენა	15-Dec-13	20-Dec-13	1,177.68	737.96			1,915.64
						8,300.12	9,225.82	17,105.60	0.00	34,631.54

ენერგეტიკის სამინისტროს მოწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ.

ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)		
პერიოდი	თანამდებობის პირები	სხვა თანამშრომლები
01.01-2013 დან 01.04-2013 მდე	**175,021**	**339,398**

ენერგეტიკის სამინისტროს მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის გაგზავნამდე.

2013 წელს გაცემული ხელფასი, დანამატი, პრემია (თანამდებობის პირებზე) (თანხა ლარებში)

სახელი, გვარი	თანამდებობა	იანვარი		თებერვალი		მარტი			აპრილი			მაისი			ივნისი		
		ხელფასი	პრემია	ხელფასი	პრემია	ხელფასი	დანამატი	პრემია	ხელფასი	დანამატი	პრემია	ხელფასი	დანამატი	პრემია	ხელფასი	დანამატი	პრემია
კახა კალაძე	მინისტრი	3,540		3,540	4,335	3,540	4,335		3,540	4,335		3,540	4,335		3,540	4,335	
მარიამ ეალიშვილი	მინისტრის მოადგილე	2,720	5,440	2,720	5,440	2,720		5,440	2,720		5,440	2,720		5,440	2,720		5,440
ილია ელოშვილი	მინისტრის მოადგილე	2,720	5,440	2,720	5,440	2,720		5,440	2,720		5,440	2,720		5,440	2,720		5,440
ირაკლი ხმალაძე	მინისტრის მოადგილე	2,010	3,000	2,010	3,000	2,010		3,000	2,010		3,000	2,223		5,440	2,720		5,440
ნათია ჭელიძე	აპარატის უფროსი	2,010	1,000	2,010	1,000	2,010		2,000	2,010		1,000	2,010		2,000	2,010		1,000
ირაკლი გაფრინდაშვილი	დეპარტამენტის უფროსი	2,010	1,000	2,010	1,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000
დავით დარახანაშვილი	დეპარტამენტის უფროსი	2,010	2,000	2,010	3,000	2,010		3,000	2,010		3,000	2,010		3,000	2,010		3,000
ზაზა ნანობაშვილი	დეპარტამენტის უფროსი																
გიორგი ყანაშვილი	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1,540	800	1,540	1,300	1,540		3,000	1,540		1,300	1,540		1,300	1,540		1,300
ჯუმბერ მამასახლისი	დეპარტამენტის უფროსი	2,010	1,000	2,010	1,000	2,010		1,000	2,010		1,000	201					
დავით შარიქაძე	დეპარტამენტის უფროსი	1,770	1,000	1,770	1,000	1,770		3,000	1,770		1,000	1,586		1,000	2,010		1,500
გიორგი შუკაკიძე	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1,540	750	1,540	750	1,540		1,000	1,540		750	1,747		850	1,770		850
ვალერიან ხავთასი	დეპარტამენტის უფროსი	2,111	1,000	1,910	1,000	2,010		3,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,500
გიორგი თუშურაშვილი	დეპარტამენტის უფროსი	2,010	1,000	2,010	1,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000
გიორგი გეგეჭკორი	დეპარტამენტის უფროსი																
ლიზა იაკობაშვილი	დეპარტამენტის უფროსი	2,010	2,000	2,010	2,000	2,010		3,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000
ნუგზარ ჩოხელი	შიდა აუდიტის უფროსი	201	0	2,010	1,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000	2,010		1,000

ენერგეტიკის სამინისტროს მოწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ.

IDFI მიესალმება ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან ანგარიშვალდებულების ეფექტურ გააზრებას. იმედს გამოვთქვამთ, რომ ენერგეტიკის სამინისტრო გაითვალისწინებს აღნიშნულ პრეცედენტს და მომავალში მსგავსი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისთვის, მათ შორის პროაქტიულ რეჟიმში.

დასკვნა

საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით. IDFI გამოთქვამდა იმედს, რომ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ღიაობის მზარდი ტენდენცია შენარჩუნებული იქნებოდა მომავალშიც, თუმცა წინამდებარე კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მთელი რიგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ ნაჩვენები დადებითი ტენდენციები დაკავშირებული იყო ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის საწყის ეტაპთან, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ რაიმე სახის ინფორმაციის დამალვის სურვილი ნაკლებად არსებობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო. ამჯერად, მათ არ მოგვაწოდეს ის ინფორმაცია, რაც დეტალურად იქნა გასაჯაროებული მათ მიერვე პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე, 2013 წლის დასაწყისში.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მთელმა რიგ ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში შენარჩუნებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომლებიც განვლილი პროექტის მსგავსად კვლავ ინარჩუნებენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100% - იან მაჩვენებლებს.

მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით ყველაზე მეტი პროგრესი შეიმჩნევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მთავრობის კანცელარიის შემთხვევებში. IDFI გამოთქვამს იმედს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემთხვევაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროგრესი არ არის დაკავშირებული 2013 წლის ნოემბრის თვეში საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განხორციელებული პოლიტიკური ცვლილების საწყის ეტაპთან და აღნიშნული პროგრესი შენარჩუნებული იქნება მომავალშიც.

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პროექტის საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (2013-2014) შუალედურ ანგარიშს, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებაში (2013 ოქტომბერი - 2014 მარტი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა. IDFI სჯარო ინფორმაციას აღნიშნული დაწესებულებების

გარდა ითხოვს თითქმის ყველა ადმინისტრაციული ორგანოდან. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სრული შედეგები წარმოდგენილი იქნება წლიურ ანგარიშში.